საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/38 “ 23 ” აპრილი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ცანავას თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2021 წლის 20 აპრილს მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარემ და აღნიშნული კოლეგიის გადატვრთულობის გამო მოითხოვა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავასთვის, რომელიც უფლებამოსილებას ამავდროულად ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მივლინების ვადის გაგრძელება. კოლეგიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსამართლე ლელა ცანავას წერილობითი თანხმობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, „სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავას მივლინების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/135 განკარგულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებულ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავას გაუგრძელდეს მივლინების ვადა 2021 წლის 8 ოქტომბრამდე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი